GACE

Georgian Association of Clinical Endocrinologists

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ დავით სერგეენკოს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კლინიცისტ ენდოკრინოლოგთა ასოციაცია ამა წლის 5-6 ოქტომბერს თბილისში გეგმავს საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას თემაზე: "კლინიკური კურსი ენდოკრინოლოგიაში". ღონისძიება ჩატარდება ტექნოპარკის საკონფერენციო დარბაზში, ინოვაციების ქუჩა 7, ოქროყანა, თბილისი. კონფერენციაზე მოწვეულნი არიან ამერიკის რეიტინგით N1 ჰოსპიტალის და ბოლო 30 წლის მანძილზე ენდოკრინოლოგიაში უწყვეტად ლიდერი კლინიკის ასოცირებული პროფესორები, მათ შორის მეიოს კლინიკის ენდოკრინოლოგიის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელები ექიმი ნინა ნეთი და ექიმი კურტ კენელი, 2011 - 2013 წლებში ამერიკის ენდოკრინოლოგთა საზოგადოების (Endocrine Society) პრეზიდენტი ექიმი უილიამ იანგი, ამერიკის ძვლებისა და მინერალების კვლევითი საზოგადოების (American Society for Bone and Mineral Research) პრეზიდენტი ექიმი ბართ კლარკი, ამერიკის კლინიცისტ ენდოკრინოლოგთა ასოციაციის და ამერიკის ენდოკრინოლოგთა კოლეგიის საბჭოს წევრი ექიმი ირინა ბანკოსი.

კონფერენციის ფარგლებში დარგის მსოფლიო დონის ექსპერტები განიხილავენ შემდეგ აქტუალურ საკითხებს ენდოკრინოლოგიაში: ჰიპოფიზის სიმსივნეები, პროლაქტინომა, კუშინგის სინდრომი, თირკმელზედა ჯირკვლის ინციდენტალომა, პირველადი ჰიპერალდოსტერონიზმი, ფეოქრომოციტომა, პარათირეოიდული ჯირკვლების დაავადებები, ოსტეოპოროზი.
სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ენდოკრინოლოგები, კარდიოლოგები, რევმატოლოგები, რადიოლოგები, ბირთვული მედიცინის სპეციალისტები, ენდოკრინული ქირურგიაში ჩართული აბდომინალური ქირურგები და უროლოგები, ნეიროქირუგები.
გათვალისწინებულია 200 ექიმის დასწრება.
ვფიქრობთ, აღნიშნული სასწავლო სემინარი დიდ როლს შეიტანს ჩვენი ექიმების უწყვეტ სამედიცინო განათლებაში. ასევე, იმედი გვაქვს მეიოს კლინიკის პირველ პილოტური ვიზიტს ენდოკრინოლოგიაში მოყვება შემდგომი თანამშრომლლობა , რაც ენდოკრინოლოგიის და მომიჯნავე შინაგანი მედიცინის დარგების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის იქნებოდა.
ბატონო მინისტრო, გვსურს, სიამოვნებით მოგიწვიოთ ჩვენს ღონისძიებაზე. ჩვენთვის პატივი იქნებოდა თქვენი მისალმება სემინარის გახსნის დღეს ან თქვენი დროის გათვალისწინებით შეხვედრა სტუმრებთან.

ამასთან, მეიოს კლინიკის გუნდის ვიზიტთან დაავშირებული ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტიპის მხარდაჭერა თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების მხრიდან.

წინასწარ გიხდით მადლობას მხარდაჭერისთვის.

წერილს თან ახლავს სამეცნიერო პროგრამა.

ჩვენი ასოციაციის ვებ მისამართია www.endocrine.ge

infogace2018@gmail.com

პატივისცემით,

საქართველოს კლინიცისტ ენდოკრინოლოგთა ასოციაცია